უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი ევროპელი მინისტრების კონფერენციის კომუნიკე

ლეუვენი და ლოუვეინ-ლა-ნეუვე, ბელგია

2009 წლის 28-29 აპრილი

ჩვენ, ბოლონიის პროცესის 46 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელი მინისტრები, მოწვეულნი ვართ ლეუვენი/ლოუვეინ-ლა-ნეუვეში, ბელგია, 2009 წლის 28 და 29 აპრილს რათა შევაჯამოთ ბოლონიის პროცესის მიღწევები და დავადგინოთ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცისათვის (EHEA) პრიორიტეტები შემდეგი დეკადისათვის.

პრეამბულა

1. მომავალ დეკადაში 2020 წლამდე, ევროპის უმაღლეს განათლებას აქვს სასიცოცხლო წვლილი შესატანი „ცოდნის ევროპის“ რეალიზებაში, რომელიც უაღრესად კრეატიული და ინოვაციურია. მოსახლეობის ხანდაზმულობის შემხედვარე ევროპას შეუძლია წარმატების მიღწევა ამ მცდელობაში, თუკი იგი შეძლებს ყველა მისი მოქალაქის ნიჭისა და შესაძლებლობების მაქსიმალიზებას და სრულად ჩართვას მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლაში, ისევე როგორც, უმაღლეს განათლებაში მონაწილეობის გაფართოვებაში.
2. ევროპის უმაღლეს განათლებას, ასევე, წინ უდგას დიდი გამოწვევა - გლობალიზაციისა და დაჩქარებული ტექნოლოგიური განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფა, ახალი მომწოდებლებით, ახალი მოსწავლეებითა და სწავლების ახალი მოდელებით. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა და მობილობა დაეხმარება სტუდენტებს მათთვისა და ცვალებადი დასაქმების ბაზრისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებაში. ასევე, უფლებას მისცემს მათ, რომ გახდნენ აქტიური და პასუხისმგებელი მოქალაქეები.
3. ჩვენი საზოგადოება ამჟამად იმკის გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შედეგებს. იმ მიზნით, რომ მივაღწიოთ მდგრად ეკონომიკურ აღდგენასა და განვითარებას - დინამიური და მოქნილი ევროპული უმაღლესი განათლება იღვაწებს ინოვაციისადმი, ყველა დონის განათლებისა და კვლევების ინტეგრაციის საფუძველზე. ჩვენ ვაღიარებთ, რომ უმაღლეს განათლებას აქვს გადამწყვეტი როლი თუ ჩვენ გვინდა წარმატებით შევხვდეთ არსებულ გამოწვევებს და წინ წავწიოთ ჩვენი საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარება. ამისათვის, ჩვენ განვიხილავთ საჯარო ინვესტირებას უმაღლეს განათლებაში უმთავრეს პრიორიტეტად.
4. ჩვენ სრულ ვალდებულების აღების პირობას ვდებთ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მიზნებზე, სივრცეში, რომელშიც უმაღლესი განათლება არის საჯარო ვალდებულება და სადაც უმაღლესი სასწავლებლები რეაგირებენ საზოგადოების ფართო საჭიროებებზე მათი მისიების მრავალფეროვნებით. მიზანი არის მიღწევა იმისა, რომ უმაღლესი სასწავლებლები უზრუნველყოფილნი იყვნენ საჭირო რესურსებით, რათა სრულყოფილად გააგრძელონ თავიანთი დანიშნულების განხორციელება, როგორებიცაა: სტუდენტთა მომზადება აქტიური მოქალაქეობრივი

ცხოვრებისადმი დემოკრატიულ საზოგადოებაში; სტუდენტთა მომზადება მომავალი კარიერისათვის და მათი პერსონალური განვითარების უზრუნველსაყოფად; ფართო, მოწინავე ცოდნის საფუძვლის შექმნა და მხარდაჭერა კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირებისათვის. უმაღლესი განათლების სისტემებისა და პოლიტიკის მიმდინარე აუცილებელი რეფორმები გაგრძელდება, რათა ხორცი შეისხას ინსტიტუციური ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების და სოციალური თანასწორობის ევროპულმა ღირებულებებმა და ეს მოითხოვს სტუდენტთა და სტაფის სრულ მონაწილეობას.

მიღწევები და კონსოლიდაცია

5. გასული დეკადის განმავლობაში ჩვენ განვავითარეთ ევროპის უმაღლეს განათლების სივრცე და უზრუნველვყავით, რომ იგი დარჩება ფასვებგადგმული ევროპის ინტელექტუალურ, მეცნიერულ და კულტურულ მემკვიდრეობასა და ამბიციებში; რომ გამორჩეული იქნება მუდმივი თანამშრომლობით მთავრობებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სტუდენტებს, სტაფს, დამსაქმებლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა შორის. რომ კვლავ, ევროპის ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების წვლილი რეფორმების პროცესის მიმართ, ასევე მნიშვნელოვანი იქნება.

6. ბოლონიის პროცესს მივყავართ უმაღლესი განათლების სისტემების მეტი კონკურენტუნარიანობისა და შედარებითობისაკენ და უადვილებს მოსწავლეებს მობილობას, ხოლო ინსტიტუტებს - მოსწავლეთა და სტუდენტთა მოზიდვას სხვა კონტინენტებიდან. უმაღლესი განათლების სისტემა ეროვნულ კონტექსტში მოდერნიზდა სამ-ციკლიანი სტრუქტურის შემოღებით, პირველ ციკლთან დაკავშირებული შუალედური კვალიფიკაციების შესაძლებლობითა და ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების მიღებით ხარისხის უზრუნველყოფაში. ჩვენ, ასევე, ვნახეთ ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრისა და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ყოვლისმომცველ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების დაარსება, რომლებიც ეფუძნება სწავლის შედეგებსა და სტუდენტთა დატვირთვას. უფრო მეტიც, ბოლონიის პროცესმა წინ წამოწია დიპლომის დანართი და ევროპული სატრანსფერო კრედიტების სისტემა, რათა კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა გამჭვირვალობა და აღიარება.

7. ბოლონიის დეკლარაციის მიერ განცხადებული ამოცანები და მის მომდევნო წლებში შემუშავებული პოლიტიკა დღესაც ძალაშია. რადგან ყველა მიზანი ჯერ კიდევ არაა სრულად მიღწეული, მათი სრულფასოვანი და სწორი დანერგვა ევროპულ, ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეებზე მოითხოვს მზარდ ძალისხმევას და ვალდებულებებს 2010 წლის შემდეგაც.

სწავლა მომავლისათვის: მომავალი დეკადის უმაღლესი განათლების პრიორიტეტები

8. უმაღლესი განათლების ყველა ასპექტში მაღალი ხარისხისადმი სწრაფვა ჩვენ მიგვაჩნია ახალი ერის გამოწვევად. ეს მოითხოვს მუდმივ ფოკუსირებას ხარისხზე. უფრო მეტიც, ჩვენი საგანმანათლებლი სისტემების მაღალი ღირებულების მრავალფეროვნებისადმი მხარში დგომით, საჯარო პოლოტიკა სრულად აღიარებს უმაღლესი განათლების განსხვავებულ მისიებს, დაწყებულს სწავლებიდან და კვლევებიდან, დამთავრებულს საზოგადოების მომსახურებით, სოციალურ

ერთსულოვნებასა და კულტურულ განვითარებაში მონაწილეობით. უმაღლესი სასწავლებლების ყველა სტუდენტი და თანამშრომელი უნდა აღიჭურვოს სწრაფად ცვლადი საზოგადოების, ცვალებადი მოთხოვნების საპასუხოდ.

სოციალური კონტექსტი: სამართლიანი ხელმისაწვდომობა და დამთავრება

9. სტუდენტთა წარმომადგენლობა უმაღლეს განათლებაში უნდა ასახავდეს ევროპის მოსახლეობის მრავალფეროვნებას. ამიტომ ჩვენ ხაზს ვუსვამთ უმაღლესი განათლების სოციალურ მახასიათებლებს და მიზანს, რომ ყველას მიეცეს ხარისხიანი განათლების ერთნაირი შესაძლებლობა. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა უნდა გაფართოვდეს ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების პოტენციალის ხელშეწყობითა და მათი სწავლის დასრულებისათვის ადეკვატური პირობების შექმნით. ეს მოიცავს სასწავლო გარემოს სრულყოფას, სწავლის ყველა ბარიერის მოშორებას, და შესაბამისი ეკონომიკური პირობების შექმნას სტუდენტისათვის, რათა მან სარგებელი მიიღოს ყველა დონეზე სწავლის შესაძლებლობიდან. მომავალი დეკადის ბოლოსათვის თითოეული მონაწილე ქვეყანა შემოიღებს უმაღლეს განათლებაში საერთო მონაწილეობის გაფართოებისა და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების მონაწილეობის გაზრდის გაზომვად სამიზნეს. უმაღლეს განათლებაში სამართლიანობის მიღწევის ძალისხმევას თან უნდა ახლდეს აქტივობები განათლების სისტემის სხვა ნაწილებშიც.

მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა

10. მონაწილეობის გაფართოვება, ასევე, უნდა იქნეს მიღწეული მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის, როგორც ჩვენი განათლების სისტემების განუყოფელი ნაწილის მეშვეობითაც. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა წარმოადგენს საჯარო პასუხისმგებლობის პრინციპების სუბიექტს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ხარისხი და გამჭვირვალობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. ცხოვრების განმავლობაში სწავლა მოიცავს კვალიფიკაციების მოპოვებას, ცოდნისა და გაგების გაფართოებას, ახალი უნარებისა და კომპეტენციების შეძენასა თუ პერსონალური ზრდის გამდიდრებას. ცხოვრების განმავლობაში სწავლა გულისხმობს, რომ კვალიფიკაციები შესაძლოა მოპოვებულ იქნეს მოქნილი სასწავლო პროგრამებით, მათ შორის - დაუსწრებელი სწავლით, ისევე როგორც მუშაობასთან ერთად სწავლით.

11. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პოლიტიკა მოითხოვს მტკიცე პარტნიორობას საჯარო მმართველობას, უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის. „ევროპული უნივერსიტეტების“ დებულება მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის შესახებ შემუშავდა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის მიერ და იძლევა კარგ საფუძველს ამგვარი პარტნიორობების განსასაზღვრად. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის წარმატებული პოლიტიკა მოიცავს სწავლის შედეგების საფუძველზე წინარე სწავლის აღიარების ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს, მიუხედავად იმისა თუ როგორ იქნა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები მოპოვებული - ფორმალური, არაფორმალური თუ არაოფიციალური სწავლის კურსით. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლას დაეხმარება შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურები და ფინანსირება. მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლა,

წახალისებული ეროვნული პოლიტიკების მიერ, უნდა იქცეს უმაღლესი საგანათლებლო ინსტიტუციების პრაქტიკად.

12. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოების შემუშავება მნიშვნელოვანი საფეხურია მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის დასანერგად. ჩვენი მიზანია გვქონდეს იგი დანერგილი და მომზადებული თვით-შეფასებისათვის ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ყოვლისმომცველი ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს დანერგვისათვის 2012 წელს. ეს მოითხოვს მუდმივ კოორდინაციას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის დონეზე და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობას. ეროვნულ კონტექსტში, შუალედური კვალიფიკაციები პირველი ციკლის ფარგლებში შესაძლოა გახდეს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაფართოვების საშუალება.

დასაქმება

13. უფრო მაღალი დონის უნარებსა და ტრანსვერსალურ კომპეტენციებზე დაფუძნებული დასაქმების ბაზრით, უმაღლესმა განათლებამ უნდა აღჭურვოს სტუდენტები მოწინავე ცოდნით, უნარებით და კომპეტენციებით, რომელიც მათ სჭირდებათ პროფესიული ცხოვრების განმავლობაში. დასაქმება უფლებამოსილებას ანიჭებს პიროვნებას რომ სრულფასოვნად გამოიყენოს შესაძლებლობები ცვალებად დასაქმების ბაზრებზე. ჩვენი მიზანია ავამაღლოთ თავდაპირველი კვალიფიკაციები, ისევე როგორც შევინარჩუნოთ და განვაახლოთ უნარიანი მუშა-ხელი მთავრობებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სოციალურ პარტნიორებს და სტუდენტებს შორის ახლო თანამშრომლობის მეშვეობით. ეს შესაძლებლობას მისცემს ინსტიტუციებს, რომ იყვნენ უფრო პასუხისმგებელნი დამსაქმებელთა საჭიროებებისადმი, ხოლო დამსაქმებლებს - რომ უკეთ ესმოდეთ განათლების პერსპექტივა. უმაღლესი განათლების ინსტიტუციებმა მთავრობებთან, სამთავრობო სააგენტოებთან და დამსაქმებლებთან ერთად უნდა გააუმჯობესონ სტუდენტთათვის და კურსდამთავრებულებისათვის უმაღლესი განათლების მიწოდება, ხელმისაწვდომობა, მათი კარიერის ხარისხი და დასაქმებასთან დაკავშირებული გზამკვლევი მომსახურებები. ჩვენ ხელს ვუწყობთ სასწავლო პროგრამებში ჩანერგილ დასაქმებას, ისევე როგორც სწავლას მუშაობის პარალელურად.

უმაღლესი განათლების სტუდენტზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების მისია

14. ჩვენ ვადასტურებთ უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო მისიას და მიმდინარე კურიკულარული რეფორმის აუცილებლობას, მიმართულს სწავლის შედეგების განვითარებისკენ. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა მოითხოვს ინდივიდუალური მოსწავლეებისათვის მეტი უფლებების მიცემას, ახალ მიდგომებს სწავლისა და სწავლების მიმართ, დახმარებისა და გზამკვლევობის ეფექტიან სტრუქტურებს და მოსწავლეზე უფრო მკაფიოდ ფოკუსირებულ კურიკულუმს სამივე ციკლში. ამგვარად, კურიკულური რეფორმა იქნება მიმდინარე პროცესი, რომელსაც მივყავართ მაღალი ხარისხის, მოქნილ და უფრო ინდივიდუალურად შემუშავებულ განათლების გზისაკენ. აკადემიური პერსონალი, სტუდენტებთან და დამსაქმებლის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით, გააგრძელებენ სწავლის შედეგების განვითარებას და საერთაშორისო მინიშნებებს მზარდი რაოდენობის საგნებისათვის. ჩვენ ვთხოვთ უმაღლეს სასწავლებლებს, რომ მიაქციონ ყურადღება სწავლებისა და

სასწავლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას ყველა დონეზე. ეს იქნება პრიორიტეტი ხარისხის განვითარების ევროპული სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემდგომ დანერგვაში.

განათლება, კვლევა და ინოვაცია

15. უმაღლესი განათლება ყველა დონეზე უნდა იყოს დაფუძნებული თანამედროვე კვლევებსა და განვითარებაზე, რითაც ხელი შეეწყობა ინოვაციებსა და კრეატიულობას საზოგადოებაში. ინოვაციის ხელშეწყობის მიზნით ჩვენ ვაღიარებთ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების პოტენციალს, მათ შორის გამოყენებით მეცნიერებაზე დაფუძნებულებს. შედეგად, კვლევითი კომპეტენციების მქონე ადამიანთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს. სადოქტორო პროგრამები უნდა იძლეოდნენ მაღალი დონის დისციპლინურ კვლევას და მზარდად უნდა იქნენ შევსებული დისციპლინათშორისი და სექტორთ-შორისი პროგრამებით. მეტიც, საჯარო ხელმძღვანელობა და უმაღლესი განათლების ინსტიტუციები გახდიან ადრეული მკვლევარების კარიერულ განვითარებას უფრო მიმზიდველს.

საერთაშორისო გახსნილობა

16. ჩვენ მოვუწოდებთ ევროპული უმაღლესი განათლების ინსტიტუციებს მათი აქტივობების კიდევ უფრო მეტად ინტერნაციონალიზაციისაკენ და მდგრადი განვითარებისათვის გლობალური თანამშრომლობისაკენ. ევროპული უმაღლესი განათლების მიმზიდველობა და გახსნილობა ხაზგასმული იქნება ერთობლივი ევროპული აქტივობებით. კონკურენცია გლობალური მასშტაბით შეივსება განვითარებული პოლიტიკური დიალოგით და პარტნიორობაზე დამყარებული თანამშრომლობით მსოფლიოს სხვა რეგიონებთან, კერძოდ ბოლონიის პოლიტიკური ფორუმის ორგანიზებით, რიგი დაინტერესებული მხარეების ჩართვით.

17. ტრანსნაციონალური განათლება უნდა იმართებოდეს ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტებითა და სახელმძღვანელო პრინციპებით, როგორც ესაა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში და შეესაბამებოდეს UNESCO/OECD-ს ხარისხის მიწოდების გზამკვლევს ტრანსნაციონალურ განათლებაში.

მობილობა

18. ჩვენ გვჯერა, რომ სტუდენტთა, ადრეულ მკვლევართა და სტაფის მობილობა გააუმჯობესებს პროგრამებისა და კვლევების ხარისხს; განამტკიცებს ევროპული უმაღლესი განათლების აკადემიურ და კულტურულ ინტერნაციონალიზაციას. მობილობა მნიშვნელოვანია პერსონალური განვითარებისა და დასაქმებისათვის. იგი ზრდის პატივისცემას მრავალფეროვნებისადმი და უნარს რომ საქმე იქონიო სხვა კულტურებთან. იგი ხელს უწყობს ლინგვისტურ პლურალიზმს, რითაც საძირკველს უმაგრებს ევროპული უმაღლესი განათლების მრავალ-ენოვან ტრადიციას და ზრდის თანამშრომლობასა და კონკურენციას უმაღლეს სასწავლებლებს შორის. ამიტომ, მობილობა უნდა იყოს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის დამღა. ჩვენ მოვუწოდებთ ყველა ქვეყანას რომ გაზარდონ მობილობა, უზრუნველყონ მისი მაღალი ხარისხი და მოახდინონ მისი სახეებისა და მასშტაბის დივერსიფიკაცია. 2020 წელს ევროპის უმაღლეს განათლების სივრცეში მოსწავლე სტუდენტთა სულ მცირე 20%-ს უნდა ჰქონდეს საზღვარგარეთ სწავლის ან ტრენინგის პერიოდი გავლილი.

19. სამი ციკლიდან თითოეულისათვის მობილობის შესაძლებლობები უნდა შეიქმნას ხარისხის პროგრამების სტრუქტურაში. ერთობლივი პროგრამები და ხარისხები, ისევე როგორც მობილობის ფანჯრები, უნდა იქცეს ჩვეულებრივ პრაქტიკად. უფრო მეტიც, მობილობის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს პრაქტიკული ღონისძიებების სპექტრს მობილობის დაფინანსებით, აღიარების, არსებული ინფრასტრუქტურით, სავიზო და მუშაობის ნებართვების რეგულაციებით. მოქნილი სასწავლო გზა და აქტიური საინფორმაციო პოლიტიკა, სწავლის მიღწევების სრული აღიარება, სწავლაში დახმარება და გრანტებისა და სესხების სრული პორტაბელურობა წარმოადგენენ აუცილებელ მოთხოვნებს. მობილობამ, ასევე, უნდა მიგვიყვანოს უფრო ბალანსირებულ შემომავალ და გამავალ სტუდენტურ ნაკადამდე ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში და ჩვენ მიზნად ვისახავთ მრავალფეროვანი სტუდენტური ჯგუფების მონაწილეობის დონის გაუმჯობესებას.

20. მიმზიდველი სამუშაო პირობები და კარიერული გზა, ისევე როგორც ღია საერთაშორისო რეკრუტირება, აუცილებელია მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლებისა და მკვლევარების მოსაზიდად უმაღლეს სასწავლებლებში. იმის გათვალისწინებით, რომ მასწავლებლები წარმოადგენენ გადამწყვეტ მოთამაშეებს, კარიერული სტრუქტურა უნდა იქნეს ადაპტირებული მასწავლებელთა, ადრეული ეტაპის მკვლევარებისა და სხვა სტაფის მობილობის წასახალისებლად; ჩარჩო-პირობები იქნება შემუშავებული შესაფერისი სოციალური დაზღვევის ხელმისაწვდომობის და მობილური სტაფის პენსიებისა და დამატებითი საპენსიო უფლებების პორტაბელობის უზრუნველსაყოფად, არსებული საკანონმდებლო ჩარჩოების ყველაზე საუკეთესო გამოყენებით.

მონაცემთა შეგროვება

21. სრულყოფილი და გაზრდილი მონაცემთა ბაზის მოგროვება დაგვეხმარება სოციალური კონტექსტის, დასაქმებისა და მობილობის ამოცანებში, ისევე როგორც პოლიტიკის სხვა სფეროებში მიღწეული პროგრესის მონიტორინგში და გამოგვადგება საფუძვლად ბენჩმარკინგისათვის.

მრავალგანზომილებიანი გამჭვირვალობის საშუალებები

22. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არსებობს რიგი ახალი ინიციატივებისა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის უმაღლესი სასწავლებლების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდების მექანიზმების შესამუშავებლად, რათა გავხადოთ მათი მრავალფეროვნება უფრო გამჭვირვალე. ჩვენ გვჯერა, რომ ნებისმიერი ასეთი მექანიზმი, მათ შორის ისეთები, რომლებიც ეხმარებიან უმაღლესი განათლების სისტემებს და ინსტიტუციებს ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებასა და შედარებაში, უნდა შემუშავდნენ ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კონსულტაციების შედეგად. გამჭვირვალობის ეს საშუალებები საჭიროებენ ბოლონიის პროცესის პრინციპებთან დაკავშირებას. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფასა და აღიარებასთან, რაც რჩება ჩვენი პრიორიტეტი და უნდა ეფუძნებოდეს შესადარებელ მონაცემებს და ადეკვატურ ინდიკატორებს, რათა აღწერილ იქნეს უმაღლესი სასწავლებლების მრავალფეროვანი პროფილი და მათი პროგრამები.

23. სოციალურ საჭიროებებზე პასუხისმგებლობის სწრაფად მზარდ მოლოდინებთან და ანგარიშვალდებულებასთან ერთად უმაღლესმა სასწავლებლებმა მოიპოვეს მეტი

ავტონომიურობა. საჯარო პასუხისმგებლობის ჩარჩოებში ჩვენ ვადასტურებთ, რომ საჯარო ფინანსირება რჩება მთავარ პრიორიტეტად თანასწორი ხელმისაწვდომობისა და ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლების შემდგომი მდგრადი განვითარების გარანტირებისათვის. უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ახალ და დივერსიფიცირებულ დაფინანსების წყაროებს და მეთოდებს.

ორგანიზაციული სტრუქტურა და მეთვალყურეობა

24. ბოლონიის პროცესის არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება მთავრობების, აკადემიურ საზოგადოების თანამშრომლობით მათ წარმომადგენელ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მხარდაჭერილია როგორც მიზანშეწონილი. სამომავლოდ, ბოლონიის პროცესს ერთდროულად უხელმძღვანელებენ თანა-თავმჯდომარეები ევროკავშირის პრეზიდენტობის მქონე ქვეყნიდან და არა ზოგადად ევროკავშირის ქვეყნიდან.

25. პოლიტიკის სხვა სფეროებთან ურთიერთობის მიზნით, ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფი (BFUG) კავშირს დაამყარებს ექსპერტებთან და პოლიტიკის შემქმნელებთან სხვა სფეროებიდან, როგორებიცაა კვლევა, იმიგრაცია, სოციალური დაზღვევა და დასაქმება.

26. ჩვენ დავავალეთ ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფს (BFUG) 2012 წლამდე სამუშაო გეგმის მომზადება, რათა წინ წაგვეწია ამ კომუნიკეში იდენტიფიცირებული პრიორიტეტები და ამ მინისტერიალზე წარმოდგენილი ანგარიშის რეკომენდაციები, რაც იძლევა ბოლონიის პროცესის დამოუკიდებელი შეფასების შედეგების სამომავლო ინტეგრაციის საშუალებას.

კერძოდ, BFUG-ს ეთხოვა, რომ:

- განსაზღვროს მობილობისა და სოციალური კონტექსტის შეფასებისა და მონიტორინგის ინდიკატორები, მონაცემთა შეგროვებასთან კავშირში;
- განსაზღვროს თუ როგორაა შესაძლებელი დაბალანსებული მობილობის მიღწევა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში;
- განახორციელოს გამჭვირვალობის მექანიზმების შემუშავების მონიტორინგი და ანგარიში ჩაგვაბაროს 2012 წლის მინისტრთა კონფერენციაზე;
- შექმნას ქსელი და ოპტიმალურად გამოიყენოს არსებული სტრუქტურა ბოლონიის პროცესის შესახებ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ფარგლებს გარეთ უკეთ ინფორმირებისა და პრომოუშენისათვის;
- მეთვალყურეობა გაუწიონ აღიარების თაობაზე ეროვნული სამოქმედო გეგმების ანალიზის რეკომენდაციებს.

27. ბოლონიის პროცესის იმპლემენტაციის პროგრესზე ანგარიში მომზადდება კოორდინირებული გზით.

- ინვენტარიზაცია-კვლავაც სრულყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას.
- ევროსტატს (Eurostat) ევროსტუდენტთან (Eurostudent) ერთად და ევრიდისთან (Eurydice) თანამშრომლობით ეთხოვა წვლილის შეტანა შესაბამის მონაცემთა შეგროვებაში.
- ანგარიშის მომზადებას ზედამხედველობას გაუწევს ბოლონიის სამეთვალყურეო ჯგუფი (BFUG) და ზემოაღნიშნული წყაროების ინტეგრირებით მომზადდება ერთიანი ანგარიში 2012 წლის მინისტრთა კონფერენციისათვის.

28. ჩვენ ვთხოვთ E4 ჯგუფს (ENQA-EUA-EURASHE-ESU) რომ გააგრძელოს თანამშრომლობა ევროპული ხარისხის უზრუნველყოფის შემდგომი განვითარებისათვის და კერძოდ, უზრუნველყოს ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრის (EQAR) შეფასების მოხდენა გარედან - დაინტერესებულ მხარეთა შეხედულების გათვალისწინებით.

29. ჩვენ კვლავ შევხვდებით ბოლონიის საიუბილეო კონფერენციაზე, რომელსაც ერთობლივად უმასპინძლებენ ავსტრია და უნგრეთი ბუდაპეშტსა და ვენაში 2010 წლის 11-12 მარტს. შემდეგ, მორიგ მინისტრთა კონფერენციას უმასპინძლებს რუმინეთი, ბუქარესტში 2012 წლის 27-28 აპრილს.

მომდევნო მინისტრთა კონფერენციები გაიმართება 2015, 2018 და 2020 წლებში.